

ჰეპატიტი

ს ჰეპატიტი ვირუსით გამოწვეული ღვიძლის დაავადებაა და ღვიძლის ციროზისა და კიბოს გამომწვევი ყველაზე ხშირი მიზეზია.

ს ჰეპატიტი ხშირად ინფიცირებიდან 20-30 წლის შემდეგ ვლინდება, როცა ღვიძლი უკვე დაზიანებულია.

ს ჰეპატიტის ვირუსის გადაცემა ადამიანიდან ადამიანზე ხდება სისხლით და იმ ნივთებით, რომელთაც შესაძლებელია შეხება ჰქონდეთ ინფიცირებულის სისხლთან:

- ნახმარი შპრიცი, არასტერილური (არასათანადოდ გასტერილებული) ინსტრუმენტები, რომლებიც სტომატოლოგიური/სამედიცინო პროცედურების ან მანიკური/პედიკური/ტატუ/პირსინგის გაკეთების დროს გამოიყენება

ენვით მხოლოდ ლიცენზირებულ დაწესებულებებს!

- სხვისი საპარსის, კბილის ჯაგრისის, ფრჩხილების საჭრელი მაკრატელის და ა.შ. გამოყენება

ინფორმაციისათვის:
დარეკეთ: 1505 ან 255 39 39

პირადი მოხმარების საგნები ყოველთვის ინდივიდუალური უნდა იყოს!

- C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებული პირისაგან სისხლის გადასხმა ან ორგანოების გადაწერვა;
- სქესობრივი გზა (გადაცემის ალბათობა 3-5 %-ია).

გამოიყენეთ პრეზერვატივი!

- პერინატალური გადაცემა – დედიდან ბავშვზე გადაცემა მშობიარობის დროს (4-7%-ში), (ძუძუთი კვების დროს ვირუსი დედიდან ბავშვს არ გადაეცემა).

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლები;
- პირები, რომელთაც C ჰეპატიტით ინფიცირებული სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ;
- C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთა ოჯახის წევრები;
- ინფიცირებული დედისგან დაბადებული ბავშვები;
- სამედიცინო პერსონალი, რომელთაც სისხლთან აქვთ კონტაქტი;
- პირები, რომელთაც სისხლის გადასხმა ან ორგანოთა გადაწერვა ჩაუტარდათ;
- პირები, რომელთაც ტატუ ან პირსინგი აქვთ გაკეთებული.

თუ ფიქრობთ, რომ C ჰეპატიტით ინფიცირების რისკის ქვეშ ხართ ჩაიტარეთ ტესტირება! ტესტირება ზრდის C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენებისა და წარმატებული მკურნალობის შანსს.

გაითვალისწინეთ, რომ წარმატებული მკურნალობის შემდეგ, ადამიანი შესაძლებელია კვლავ დაავადდეს C ჰეპატიტით!



www.moh.gov.ge



www.ncdc.ge

დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი